ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4098502

ნომერი: AR1615469

თარიღი : 11.07.2018

გაცემის თარიღი : 02.08.2018

გაცნობის თარიღი : 03.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილის , N26-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ საბაშვილი პ/ნ 01017007949
- თბილისი ი.ნიკოლაძის ქ. N 5,,ა" ბ. 63

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11 ივლისს №AR1615469 განცხადებით მომართა ოთარ საბაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანებით შეთანხმდეა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქ. №26-ის მიმდებარედ, ქუჩა ონიაშვილი, №26-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.12.041.027), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 1074.95 კვ.მ-ის ნაცვლად 1077.25 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 270.2 კვ.მ-ის ნაცვლად 258.5 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 1752.03 კვ.მ-ის ნაცვლად 2173.15 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია ავტოსადგომის ფართობი და შესაბამისად ითხოვს ავტოსადგომის ფართობად 430.52 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1077.25 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 258.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 430.52 კვ.მ, საერთო ფართობად 2173.15 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ივნისის №4016766 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.